# შპს მაგთიკომის ფიქსირებულ ქსელთან სავალდებულო დაშვების და საბითუმო მომსახურების შეთავაზების წინადადება („ოფერტა“)

# დანართი - ტერმინთა განმარტება და განმარტების წესი

# 1 შინაარსი

1 შინაარსი ..... 2
2 ტერმინების განმარტება ..... 3
3 განმარტების წესები ..... 18

# 2 ტერმინების განმარტება

2.1 წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ შემდეგ სიტყვებს აქვს ქვემოთ მოცემული მნიშვნელობები, თუ კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ტერმინები, რომლებიც არ არის განმარტებული, განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

**„დაშვების ქსელი“** ნიშნავს პასიურ ოპტიკურ „ბოლო მონაკვეთის“ ქსელს, რომელიც ხორციელდება „ბოლო მომხმარებელს“ ჩართვა „მაგთიკომის“ ქსელში.

**„დაშვების კვანძი“** ნიშნავს „მაგთიკომის“ სატელეკომუნიკაციო ქსელში არსებულ „ქსელურ კვანძს,“ სადაც „დაშვების მსურველი“ ან სადაც „დაშვების მსურველს“ შეუძლია ტრაფიკი გადასცეს „მაგთიკომის“ „დაშვების ქსელს.“

**„დაშვების მიმწოდებელი“** ნიშნავს „მაგთიკომს“.

**„დაშვების მოთხოვნა“** ნიშნავს „დაშვების მსურველის“ მიერ „ოფერტით“ განსაზღვრული წესისა და მოთხოვნების შესაბამისად წარდგენილ მოთხოვნას „დაშვების მომსახურებაზე“ „ოფერტის“ პირობების მიხედვით მოსალაპარაკებლად.

**„დაშვების მსურველი“** - ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირს, რომელიც წარმოადგენს „კანონით“ გათვალისწინებული ავტორიზებულ პირს და „ოფერტით“/ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით წარადგენს წერილობით მოთხოვნას „ობიექტებზე“ ან „მომსახურებებზე“ დასაშვებად ან რომელსაც „დაშვების მიმწოდებელი“ აწვდის „ტექნიკურ საშუალებებს“ ან/და „მომსახურებებს“ „ხელშეკრულების“ შესაბამისად.

**„დაშვების მომსახურება“** ნიშნავს ერთობლივად VULA ან ბიტსტრიმ მომსახურებაზე  დაშვებას, რომელიც მიეწოდება ქსელის ცენტრალურ ან ქსელის ბოლო მონაკვეთზე არსებულ დაშვების კვანძზე.

**„დაშვების მომსახურების მოთხოვნა“** ნიშნავს მოთხოვნას, „დაშვების მომსახურების“ მიწოდების მიზნით, „დაშვების მსურველის“ მიერ მითითებულ ლოკაციაზე, საწყისი „თეორიული მიზანშეწონილობის ანალიზის“ ჩატარებაზე.

**„ხელშეკრულება“ ან „დაშვების ხელშეკრულება“** ნიშნავს „ხელშეკრულებას“ და მის დანართებს, მათ შორის, მათში შეტანილ მოდიფიკაციებს, ცვლილებებს და დამატებებს..

**„განგაში“** ნიშნავს  „გაუმართაობის“ შესახებ „ქსელის მართვის სისტემის“ მიერ გენერირებულ  ავტომატურ შეტყობინებას, რომელიც რეაგირებისთვის იგზავნება „ქსელის მართვის ცენტრში.“

## დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

**„დანართი“** ნიშნავს „ხელშეკრულების“ დანართს, რომელიც წარმოადგენს ამავე „ხელშეკრულების“ შემადგენელ ნაწილს.

**„ნებართვა“** ნიშნავს „კომისიის“ მიერ მისთვის „კანონით“ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში გაცემულ ნებართვას საქართველოში „საკომუნიკაციო მომსახურების“ მიწოდებაზე.

**„საბანკო გარანტია“** საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქმედი ბანკის მიერ გაცემული ფულადი გამოუხმობადი წერილობითი გარანტია, რომლის ძალითაც, გარანტიის მიმცემი თვითონ კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს ფულადი თანხა ბენეფიციარს („მაგთიკომს“), ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში.

**„საბილინგო ინფორმაცია“** ნიშნავს „მაგთიკომის“ მიერ წარდგენილ ანგარიშს გაწეული მომსახურების/ხარჯის შესახებ.

**„ანგარიშის წარდგენის პერიოდი“** [ბილინგის პერიოდი] კალენდარული თვე, თუ სხვაგვარად არ იქნება შეთანხმებული.

**„ბილინგის წარმომადგენელი“** ნიშნავს „ოპერატორის“ წარმომადგენელს, რომელიც დანიშნულია ბილინგის საკითხების დასარეგულირებლად.

**„ბილინგის სისტემა“** ნიშნავს „ხელშეკრულების“ თანახმად გაწეული მომსახურების აღრიცხვის სისტემას.

**„სასაზღვრო მარშრუტიზატორი“** ნიშნავს „მაგთიკომის“ „ქსელის“ მარშრუტიზატორს, რომლითაც „მაგთიკომის“ ქსელი დაერთებულია გლობალურ ინტერნეტთან.

**„დარღვევის შესახებ შეტყობინება“** - წინამდებარე „ხელშეკრულების“ არსებითად დამრღვევი მხარისთვის წარდგენილი შეტყობინება.

**„ფართოზოლოვანი მიერთების ბლოკი“** ან „**BTU**“ ნიშნავს მოწყობილობას, რომელსაც შეუძლია მხარი დაუჭიროს რამდენიმე ტერმინალურ მოწყობილობას (TE) სხვადასხვა სახის ინტერფეისით, მათ შორის და არა მხოლოდ, FE (RJ45), RJ11 და უსადენო ინტერფეისებით.

**„სამუშაო დღე“** - ნებისმიერი დღე შაბათის, კვირის, უქმე და დასვენების დღეების გარდა.

**„კალენდარული დღე“** ნიშნავს გრიგორიანული კალენდრის დღეს.**„კალენდარული თვე“** ნიშნავს გრიგორიანული კალენდრის თვეს.**„კალენდარული წელი“** ნიშნავს გრიგორიანულიკალენდრის წელს.**„დეპოზიტი“** - „კომპანიის“ მიერ „მაგთიკომის“ ანგარიშზე (დეპოზიტზე) ჩარიცხული თანხა, რომელიც ითვლება „ხელშეკრულებიდან“ წარმოშობილი ვალდებულებების შესრულების გარანტიად (რომელზეც არ ხორციელდება პროცენტის დარიცხვა) და იმ შემთხვევაში, თუ „დაშვების მსურველი“ არ დაფარავს შეასრულებს/დაარღვევს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ

## დანართი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

ვალდებულებას „მაგთიკომს“ უფლება ეძლევა უაქცეპტოდ წესით დაიკმაყოფილოს საკუთარი მოთხოვნა არსებული საგარანტიო თანხიდან. „საგარანტიო თანხა“ არ არის ავანსის სახით გადახდილი თანხა.

**„მომსახურების საფასური“** ნიშნავს „ხელშეკრულებით“/„ოფერტით“ გათვალისწინებული, მათ შორის მომსახურების საფასურს.

**„აბონენტთა გადინება“ [“Churn”]** ნიშნავს იმ პროცესებს, რომელთა განხორციელებაც მოითხოვება „ოპერატორების“ მიერ „მომსახურების“ მიწოდებასთან და „მომხმარებლების“ გადასვლასთან დაკავშირებით, როცა კი „მომხმარებელი“ ითხოვს გადასვლას იმ „ოპერატორიდან,“ რომელიც ასეთ „მომხმარებელს“ აწვდის ერთ ან მეტ „მომსახურებას“ („გამშვები პროვაიდერი“) სხვა „ოპერატორთან“ („შემძენი პროვაიდერი“).

**„აბონენტთა გადინების მომსახურება“** ნიშნავს „მომსახურებას,“ რომლის მიწოდებასაც „მომხმარებელი“ „შემძენი მომსახურების პროვაიდერისაგან“ ითხოვს.

**“Churning Operator”** - ოპერატორი, რომელიც გადასცემს „მომხმარებელს“ სხვა ოპერატორს („შემძენ ოპერატორს“) შეკვეთილი და უზრუნველყოფილი წვდომის სერვისის განხორციელების გზით.

**„კომისია“** ნიშნავს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას.

**„დაშვების შესახებ კომისიის გადაწყვეტილება“** ნიშნავს კომისიის 2024 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებას N გ-24-9/361.

**„დაწყების დღე“** ნიშნავს ორივე „მხარის“ მიერ „ხელშეკრულების“ გაფორმების დღეს ან, თუ გაფორმება სხვადასხვა დღეს მოხდა, იმ დღეს, რომელზეც უკანასკნელმა „მხარემ“ მოაწერა ხელი „ხელშეკრულებას“.

**„კომერციული გაშვება“** ნიშნავს „დაწყების დღის“ შემდგომ დღეს, რომელზეც „დაშვების მსურველის“ მიერ დაკმაყოფილდა „მომსახურებებზე ან ტექნიკურ საშუალებებზე შეკვეთის მიცემის“ „ხელშეკრულებით“ დადგენილი წინასწარი მოთხოვნები.

**„კომერციული წარმომადგენელი“** არის მხარის წარმომადგენელი, რომელიც დანიშნულია კომერციული საკითხების დასარეგულირებლად.

**„ძირითადი გადაცემის წერტილი“** ან **„Core Handover Site“** ნიშნავს ბირთვის გადაცემის წერტილს, „მაგთიკომის“ ძირითადი „ქსელის ბირთვზე“.

**„ქსელის ბირთვი“** ნიშნავს ძირითად მარშრუტიზატორებს, კომუტატორებს, ქსელის მართვის სისტემისა და მომსახურების პლატფორმებს, რომლებიც აკონტროლებს და ემსახურება დანარჩენ ქსელს.

**„ქსელის ბირთვის ობიექტი“** ნიშნავს „მაგთიკომის ქსელის“ ობიექტს, რომელშიც განთავსებულია „ქსელის ბირთვის“ ის მარშრუტიზატორები, რომლებიც ქსელის მართვისთვის გამოიყენება.

## დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

**„ინფორმაცია კრედიტუნარიანობის შესახებ“** ნიშნავს იმ ინფორმაციას, რომელიც „დაშვების მიმწოდებელს“ ესაჭიროება „დაშვების მსურველის“ კრედიტუნარიანობის შესაფასებლად.

**„კრიტიკული პრობლემა“** ნიშნავს პრობლემას, რომელიც იწვევს „მხარეთა“ „ქსელებს“ შორის მონაცემების ხარვეზიან, არასრულ გაცვლას ან მონაცემების გადაუცემლობას, მათ შორის და არა მხოლოდ, დაკარგულ ან არასწორი მარშრუტით გაგზავნილ მონაცემთა პაკეტებს, ან მომსახურების ხარიხის მოქმედი სტანდარტების შეუსრულებლობას, მათ შორის, ტესტირების მოქმედი სპეციფიკაციებიდან გადახრებიდან გამომდინარე ნებისმიერ ამგვარ პრობლემას.

**„მომხმარებელი“** ნიშნავს „ოპერატორის“ „ბოლო მომხმარებელს“ ან სხვა პირს, რომელსაც „ოპერატორთან“ აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა საკომუნიკაციო მომსახურების მიღებაზე.

**„მომხმარებლის მოწყობილობა“** ან **„CPE“** ნიშნავს „მომსახურების მიმწოდებლის“ მიერ „ბოლო მომხმარებლის“ მომსახურების ადგილზე დამონტაჟებულ ნებისმიერ და ყველა იმ აპარატურას, რომლებიც გამოიყენება საცალო ინტერნეტ მომსახურების მიწოდებაში, მათ შორის, WiFi მოწყობილობას., და ქსელის დაცვის მოწყობილობას.

**„მონაცემთა მართვის ცვლილება“** ნიშნავს „მაგთიკომის ქსელის“ ან **„**დაშვების მსურველის“ ქსელის“ კონფიგურაციის ცვლილებას, რომელიც აუცილებელია „ხელშეკრულების“ საფუძველზე მიწოდებული „მომსახურებების“ უწყვეტი ოპერირებისთვის და დარიცხვისთვის.

**„მიწოდების თარიღი“** არის თარიღი, როცა მხარეს „ანგარიშფაქტურა მიეწოდება.

**„ბილინგის სავერფიკაციო დეტალური ინფორმაცია“** ნიშნავს „ხელშეკრულების“ საფუძველზე მიწოდებული „მომსახურების“ დარიცხვისთვის საჭირო დეტალურ ინფორმაციას.

**„დემარკაციის წერტილი“** ნიშნავს წერტილს, „მაგთიკომი“ აწვდის „მომსახურებას“ „დაშვების მსურველს“. „მაგთიკომისგან“ აღებული მომსახურების ტიპის მიხედვით, ეს შეიძლება იყოს:

a) „მაგთიკომის“ მიერ დაყენებული RJ45 ბუდე, რომელიც დაკავშირებულია FTTB ქსელის კომუტატორთან.

b) FTTH ტექნოლოგიით ჩართული „მაგთიკომის“ საკუთრებაში არსებული და მართვადი ONT, რომელიც განთავსებულია „საბოლოო მომხმარებლის“ ფართში.

**დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი**

c) „მაგთიკომის“ მიერ დაყენებული, მისივე საკუთრებაში არსებული და მართვადი CPE, რომელიც განთავსებულია „საბოლოო მომხმარებლის“ ფართში და რომელზეც „დაშვების მსურველის“ დაკვეთით „მაგთიკომმა“ დაამატა CPE.

**„თეორიული მიზანშეწონილობის ანალიზი“** ნიშნავს კონკრეტული მომსახურების ადგილზე „დაშვების მომსახურების“ მიწოდებაზე მოთხოვნის წინასწარ შეფასებას „მაგთიკომისთვის“ ქსელის ოპერაციულ სისტემებსა და მონაცემთა ბაზებში ხელმისაწვდომი ინფორმაციაზე მითითებით.

**„გამმჟღავნებელი მხარე“** ნიშნავს „მხარეს,“ რომელიც გადასცემს მეორე „მხარეს“ „კონფიდენციალურ ინფორმაციას“.

**„დავა“** ნიშნავს ორ „მხარეს“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებულ უთანხმოებას.

**„დავის გადაწყვეტის წესი“** ნიშნავს „დავების“ გადაწყვეტის წესებს, რომელიც შეთანხმებულია მხარეთა მიერ.

**„გამანაწილებელი ქსელი“** ნიშნავს სატელეკომუნიკაციო ქსელს, რომლითაც „მაგთიკომის“ PoP-ები მიერთებულია „ქსელის ბირთვთან.“

**„გადახდის დღე“** ნიშნავს, „ხელშეკრულებით“ შეთანხმებულ გადახდის ანგარიშსწორების თარიღს.

**„ძალაში შესვლის დღე“** ნიშნავს „ხელშეკრულების“ ძალაში შესვლის დღეს.

**„ბოლო მომხმარებელი“** - მომხმარებელი, რომელიც საკუთარი მოხმარებისათვის იყენებს ან განზრახული აქვს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებლისათვის.

**„მოწყობილობა“** - ნიშნავს ნებისმიერ მოწყობილობას (აპარატურას თუ პროგრამულ უზრუნველყოფას), ან ხელსაწყოს, რომელიც წარმოადგენს „ქსელის შემადგენელ ნაწილს“ ან „ქსელის“ შემადგენლობაშია.

„**Ethernet**“ ნიშნავს საკაბელო ქსელურ ტექნოლოგიებს, რომლებიც გამოიყენება აპარატურის ელემენტების ქსელურ კონფიგურაციაში ჩასართავად OSI მოდელის მე-2 დონეზე.

**„ტექნიკური საშუალებები“** ნიშნავს „რეგულირებულ ტექნიკურ საშუალებებს.“

**„ტექნიკურ საშუალებებზე დაშვება“** - „რეგულირებულ ტექნიკურ საშუალებებთან“ ან/და „მომსახურებებთან“ დაკავშირებით ნიშნავს მომსახურებას ქსელის ტექნიკურ საშუალებებზე ან/და ფართებზე დაშვების მიწოდებისთვის.

## დანართი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

**„გაუმართაობა“** ნიშნავს მომსახურების შეფერხების ან ხარისხის გაუარესების შესახებ შეტყობინებას.

**„გაუმართაობის აღმოფხვრა“** ან **„გაუმართაობის მოგვარება“** ნიშნავს შეტყობინებული მხარეთა მიერ შეთანხმებული პირობებით მოგვარებისა და მათი სტატუსის განახლების პროცესს.

**„ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელების დაბოლოების ყუთი“** ან „**FTB**“ არის ინტერფეისი ხაზის მხარიდან შემავალ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელსა და ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის გამანაწილებელ პანელზე გადასაწოდებელ მონაკვეთებს შორის.

**„ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი შენობამდე“** ან „**FTTb**“ ნიშნავს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის არქიტექტურას, რომელშიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები ბოლოვდება მრავალბინიანი სახლის ტელეკომ-ოთახში, სადარბაზოში ან შენობის სარდაფში და შიდა სპილენძის კაბელებით (მაგ., CAT5 ან CAT6 კაბელით) ბინები ან/და ოფისები მიერთებულია საერთო სარგებლობის ოპტიკურ ინტერფეისთან.

**„ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელი სახლამდე“** ან „**FTTh**“ ნიშნავს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის არქიტექტურას, რომელშიც ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელები ბოლოვდება „ბოლო მომხმარებლის“ ფართში - სახლში, ბინაში ან კომერციულ ფართში.

**„ფიქსირებული უსადენო დაშვება“** ნიშნავს იმ რადიოტექნოლოგიების (CDMA, MMDS და 5G) ერთობლიობას, რომლებიც გამოიყენება „ბოლო მომხმარებლის“ ფართთან უსადენო, მაგრამ არა მობილური, „ბოლო მონაკვეთის“ მიერთების უზრუნველსაყოფად.

**„FTTx“** - „ხელშეკრულების“ კონტექსტში ნიშნავს FTTb-სა და FTTh-ს ერთობლივად.

**„ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებას“** აქვს კომისიის მიერ „დაშვების შესახებ კომისიის გადაწყვეტილებაში“ გამოყენებული განმარტება.

**„პროგნოზი“** ნიშნავს „დაშვების მსურველის“ მიერ მომზადებულ პროგნოზს.

**„პროგნოზის პერიოდი“** ნიშნავს თითოეული „კალენდარული წლის“ 1-ლ იანვარს, 1-ლ აპრილს, 1-ლ ივლისსა და 1-ლ ოქტომბერს დაწყებულ ექვსი „კალენდარული თვისგან შემდგარ პერიოდს, გარდა „თავდაპირველი პროგნოზის“ შემთხვევისა, რა შემთხვევაშიც ის ეხება „კომერციული გაშვების“ შემდგომ ექვსთვიან პერიოდს.

**„ფორს-მაჟორი“** ნიშნავს ნებისმიერ გარემოებას, რომელიც „ოპერატორის“ გონივრულ კონტროლს არ ექვემდებარება და რომელსაც უარყოფითი გავლენა აქვს „ოპერატორის“ უნარზე შეასრულოს „ხელშეკრულებით“ ან ნაკისრი

**დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი**

ვალდებულებები, მათ შორის და არა მხოლოდ, ზებუნებრივ მოვლენას, ნებისმიერი სახის სამრეწველო დავებს, გამოუცხადებელ თუ არგამოცხადებულ ომს, ბლოკადას, სამოქალაქო არეულობას, მეხს, ხანძარს, მიწისძვრას, ქარიშხალს, მეტეორის აფეთქებას, პანდემიას, სამთავრობო შეზღუდვას ან ბრძანებას ან ექსპროპრიაციას.

**„შეტყობინება ფორს-მაჟორის შესახებ“** ნიშნავს „ფორს-მაჟორული“ მოვლენის შესახებ ერთი „მხარის“ მიერ მეორე „მხარისთვის“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შესაბამისად წარდგენილ შეტყობინებას.

**„GPON“** არის პასიური ოპტიკური ქსელი - ჩვეულებრივ დაკავშირებულია ITU-T G.984 სტანდარტების სერიებთან - რომელიც გამოიყენება ადგილობრივი PoP-ებიდან „ბოლო მომხმარებლის“ ფართამდე ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით „ბოლო მომხმარებლის“ჩართვის უზრუნველსაყოფად.

**„გადაცემის კომუტაციის უბანი“** ნიშნავს „მაგთიკომის“ უბანს, სადაც OLO-ის მიერ შექმნილია მიერთების წერტილი „მაგთიკომის“ მიერ მოწოდებულ PON ინფრასტრუქტურასთან მიერთების მიზნით, „ბოლო მომხმარებლის“ ჩართვის უზრუნველსაყოფად.

**„გადაცემის გამანაწილებელი ფარი“** ან „**HDF**“ ნიშნავს „დაშვების მსურველის“ პასიური ქსელის ელემენტს, რომელიც განთავსებულია „მაგთიკომის“ გაცვლით პუნქტში იმისათვის, რომ უზრუნველყოს:

ა) ოპერატორთან კავშირს VULA შეერთებისთვის; ან

ბ) ოპერატორთან კავშირს Bitstream შეერთებისთვის.

**„გადაცემის განაწილების პუნქტი“** ნიშნავს „მაგთიკომის“ საიტს, სადაც „დაშვების მსურველს“ მოწყობილი აქვს POP იმ მიზნით, რომ:

ა) დაუკავშრდეს „მაგთიკომის“ PON ინფრასტრუქტურას „დაშვების მსურველის“ „HDF“-ს საშუალებით, რომ მოხდეს “ბოლო მომხმარებელთან“ დაკავშირება;

ბ) დაუკავშირდეს „მაგთიკომის“ ქსელის ბირთვს, „დაშვების მსურველის“ „HDF“-ს საშუალებით VULA ან Bitsream კავშირების უზრუნველყოფისთვის ქსელის ფარგლებში.

**„გადაცემის წერტილი“** ან „**PoH**“ ნიშნავს

ა) „Ethernet“ ან IP კავშირი, რომელიც უზრუნველყოფილია კაბელის საშუალებით, რომელიც აკავშირებს „დაშვების მსურველის“ „HDF“-ს „მაგთიკომის“ ძირითადი ქსელის „ODF“-თან „მაგთიკომის“ „ძირითადი გადაცემის წერტილზე“, რომლის მეშვეობითაც „დაშვების მსურველს“ შეუძლია წვდომა და „მომხმარებლის“ სერვისების მართვა;

**დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი**

ბ) „Ethernet“ კავშირი, რომელიც უზრუნველყოფილია კაბელის საშუალებით, რომელიც აკავშირებს „მაგთიკომის“ „ODF“-ს „დაშვების მსურველის“ „HDF“-თან, რომელიც უზრუნველყოფილია „მაგთიკომის“ „POP“-ში ან მის მახლობლად და გამოიყენება ადგილობრივ PON ქსელთან დასაკავშირებლად.

**„უზრუნველყოფის საწყისი თანხა“** ნიშნავს უზრუნველყოფის თანხას, რომელსაც „დაშვების მსურველი“ „დაშვების მოთხოვნის“ თანახმად „დაშვების მიმწოდებელს“ წარუდგენს „ოფერტით“ და „ხელშეკრულებით“ დადგენილი წესით.

**„სამუშაო ჯგუფი“** ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ თანახმად შექმნილ კომიტეტს.

**„IP“ ან „ინტერნეტ-პროტოკოლი“** ნიშნავს OSI მოდელის 3-ე დონის პროტოკოლს, რომელიც შეიცავს მისამართების შესახებ ინფორმაციას და კონტროლის ზოგ ინფორმაციას, რომლითაც შესაძლებელი ხდება პაკეტების მარშრუტიზაცია.

**„IPTV“** ნიშნავს ინტერნეტ-ტელევიზიას, რაც წარმოადგენს სატელევიზიო სიგნალების ინტერნეტ-პროტოკოლზე დაფუძნებული კავშირის მეშვეობით გადაცემის ტექნოლოგიას.

**„ISP“** ნიშნავს „ინტერნეტ მომსახურების მიმწოდებელს“ – „ოპერატორს,“ რომელიც საცალო დონის ინტერნეტ კავშირებს და დაკავშირებულ მომსახურებებს აწვდის „მომხმარებლებს“; ჩვეულებრივ, ეს არის „ოპერატორი,“ რომელსაც აქვს პირდაპირი სახელშეკრულებო ურთიერთობა „მომხმარებელთან.“

**„გაცემის დღე“** არის ის დღე, რომლითაც დათარიღებულია ანგარიშფაქტურა და რომელზეც ანგარიშფაქტურა გაცემულია „მხარის“ მიერ.

**„ITU“** ნიშნავს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირს.

**„ITU-T“** ნიშნავს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის ტელეკომუნიკაციების სტანდარტიზაციის სექტორს (ადრე ცნობილი იყო, როგორც CCITT);

**„ჯიტერი“** ან **„Jjitter“** – პარამეტრი, რომელიც გამოსახავს ქსელის გამტარუნარიანობის შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეულ პაკეტების გაგზავნასა და მიღებას შორის არათანაბარ/არაერთგვაროვან დროის დაყოვნებას მილიწამებში.

**„ბოლო მილი“** ნიშნავს პასიურ ოპტიკურ-ბოჭკოვან კაბელს ან/და Ethernet-ს, რომლითაც „მაგთიკომის“ PoP მიერთებულია ან “ბოლო მომხმარებლის“ ფართში (FTTh) არსებულ „მაგთიკომის“„ONT“-თან ან ამავე ფართში არსებულ

## დანართი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

„Ethernet“ პორტთან, რომელიც ჩართულია შენობის ტელეკომ-ოთახში ან მსგავს ფართში (FTTb) არსებული საერთო სარგებლობის „ONT“ -ის მეშვეობით.

**„დაყოვნება“** - პარამეტრი, რომელიც აჩვენებს დაუტვირთავ არხზე ქსელის ტერმინაციის წერტილსა და ინტერნეტმომსახურების მიმწოდებლის ინტერნეტის გაცვლის წერტილს შორის, ორივე მიმართულებით, პაკეტების გაგზავნასა და მიღებას შორის დროის დაყოვნებას მილიწამებში.

**„კანონი“** ნიშნავს საქართველოს კანონს „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“.

**„მე-2 დონე“** ნიშნავს OSI მოდელის მონაცემთა არხის დონეს, რომლითაც იმართება აპარატურის ელემენტების ქსელზე მიერთების მეთოდი მოწყობილობის MAC მისამართის გამოყენებით. „Ethernet“ ყველაზე ფართოდ გავრცელებული „მე-2 დონის“ გადაცემის პროტოკოლია.

**„მე-3 დონე“** ნიშნავს OSI მოდელის „ქსელის დონეს“ (ხშირად „IP დონედაც“ იწოდება). ეს არის დონე, რომლითაც იმართება მონაცემთა პაკეტების ქსელის ერთი ელემენტიდან სხვა ელემენტისკენ (საჭიროების შემთხვევაში, გზაში რამდენიმე კვანძის გავლით) მარშრუტირება დანიშნულების მისამართის შესახებ პაკეტის სათაურში არსებული ინფორმაციის გამოყენებით.

**„მიმყვანი არხი“** ნიშნავს არხს „ბოლო მომხმარებლის“ დაკავშირებულ პირველ საკომუნიკაციო-საკანალიზაციო ჭამდე.

**„მაგისტრალური არხი“** ნიშნავს თითოეულ არხს ან არხთა ჯგუფს, რომელიც (რომლებიც) ვრცელდება ერთი ან მეტი „მიმყვანი არხიდან“ ასეთ არხ(ებ)თან დაკავშირებულ უახლოეს საკომუტაციო შენობამდე.

**„მინიმალური ღირებულება“** - „უზრუნველყოფის თანხის“ გამოთვლის მიზნებისთვის ნიშნავს „დაშვების მიმწოდებლის“ მიერ „მაგთიკომისთვის“ „ანგარიშის წარდგენის სამ (3) პერიოდში“ მიწოდებულ ან მისაწოდებელ „ტექნიკური საშუალებებზე“ ან/და „მომსახურებებზე“ (აღნიშნულ „ტექნიკური საშუალებებზე“ ან/და „მომსახურებებზე“ ყველაზე ბოლოს ანგარიშწაყენებული თანხების საფუძველზე) დაშვების ჯამურ საანგარიშო ღირებულებას.

**„მრავალბინიანი სახლი“** ან **„MDU“** ნიშნავს საცხოვრებელ კორპუსს ან საერთო საცხოვრებელს, რომელშიც განთავსებულია რამდენიმე ინდივიდუალური სახლი, ბინა ან საცხოვრებელი. შეიძლება მოიცავდეს საოფისე, საცალო, სასაწყობო ან სხვა მიზნებისთვის გამოყენებულ მრავალერთეულიან/მრავალმოიჯარიან შენობებსაც.

**„მოლაპარაკების ვადა“** არის დროის პერიოდი, რომელშიც „მხარეები“ ცდილობენ გადაწყვიტონ „გაანგარიშებასთან დაკავშირებული დავა“.

## დანართი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

**„ქსელი“** ნიშნავს ქსელის ტექნიკურ საშუალებებს ან/და ქსელის მომსახურებებს, რომლებიც შედგება სისტემისგან, ან საქართველოში არსებული რამდენიმე სისტემისგან, რომელიც კავშირგაბმულობას ახორციელებს ან რომელსაც შეუძლია კავშირგაბმულობა განახორციელოს მართული ან/და უმართავი ელექტრომაგნიტური ენერგიის მეშვეობით, და „ოპერატორთან“ მიმართებით, ნიშნავს ამ ქსელის იმ ნაწილს, რომელიც „ოპერატორის“ საკუთრებაშია ან რომლის ექსპლუატაციასაც ახორციელებს „ოპერატორი.“

**„ქსელის ცვლილება“** ნიშნავს ერთი „მხარის“ „ქსელში“ ისეთ ცვლილებას (გარდა „მონაცემთა მართვის ცვლილებისა,“ „გადაცემის პუნქტის ცვლილებისა“ ან „გეგმიური განახლების პროგრამისა“), რომელიც საჭიროებს მეორე „მხარის“ „ქსელში“ ცვლილების შეტანას იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს „ხელშეკრულების“ მიხედვით „მომსახურებ(ებ)ის“ მიწოდების გაგრძელება. გადაცემის კონფიგურაციაში ან მეთოდში, მათ შორის და არა მხოლოდ, „გადაცემის სააბონენტო პუნქტის“ ან „გადაცემის სააბონენტო პუნქტის“ (შემთხვევიდან გამომდინარე) ექსპლუატაციიდან გამოყვანას.

**„ქსელის მართვის სისტემა“** ნიშნავს OSS-ს, რომელიც გამოიყენება „ქსელის“ მართვისა და ოპერირების მონიტორინგისთვის.

**„ქსელის კვანძი“** ნიშნავს „მხარის“ ქსელში“ არსებულ კომუტაციის ან/და მარშრუტიზაციის მნიშვნელოვან ელემენტებს, რომლებიც ასევე უზრუნველყოფს ქვეყნის მასშტაბით ტრანზიტის პოტენციალს და „ბოლო მომხმარებლების“ კავშირს დაშვების ქსელის მეშვეობით.

**„ქსელის გეგმა**“ ნიშნავს ტექნიკურ დოკუმენტს, რომელიც შეიცავს კონკრეტულ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა შეკვეთილი მომსახურებების განსახორციელებლად.

**„ახალი მიერთება“** ნიშნავს Bitstream-ს ან VULA-ს იმ ლოკაციაზე, რომელსაც აქვს არსებული FTTx ან FTTb ინფრასტრუქტურა, რომელიც ან მანამდე არასოდეს გააქტიურებულა, ან რომელზეც „მომხმარებელი“ ითხოვს მისი მომსახურების „დაშვების მიმწოდებლიდან“ სხვა „ოპერატორზე“ გადატანას.

**„NOC“** ნიშნავს „ქსელის მართვის ცენტრს.“

**„მომსახურებაზე გავლენის არმქონე გაუმართაობა“** ნიშნავს „გაუმართაობას,“ რომელსაც არ აქვს გავლენა „მომსახურებაზე.“

**„ოპტიკური ხაზის ტერმინალი“** ან „OLT“ არის მოწყობილობა, რომლის საშუალებით ხდება „ბოლო მომხმარებლის“ დაკავშირება ქსელის ბირთვთან ან აგრეგაციის წერტილთან პასიურ ოპტიკო-ბოჭკოვან ქსელის გამოყენებით.

**„ოპტიკური ქსელის ტერმინაცია“** ან **„ONT“** არის მოწყობილობა, რომელიც უკავშირდება OLT ს ოპტიკური ქსელის საშუალებით და რომელზეც ხდება „ბოლოო მომხმარებლის“ დაერთება ელექტრული ან უსადენო შეერთების გამოყენებით.

## დანართი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

**„ოპერატიული მხარდაჭერის სისტემა“** ან **„OSS“** ნიშნავს „დაშვების მიმწოდებლის“ მიერ „დაშვების მსურველისთვის“ მიწოდებულ ან მისაწოდებელ ინტერაქტიური ოპერატიული მხარდაჭერის სისტემას იმ ფუნქციების შესასრულებლად, რომლებიც საჭიროა „ტექნიკური საშუალებებზე“ ან/და „მომსახურებებზე“ დაშვებასთან დაკავშირებით, მათ შორის და არა მხოლოდ, მომსახურების შესრულებისა და მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ოპერატიული მხარდაჭერის სისტემებს.

**„ოპერატორი“** ნიშნავს „დაშვების მსურველს“ ან „დაშვების მიმწოდებელს“კონტექსტიდან გამომდინარე.

**„ოპტიკური გამანაწილებელი ფარი“** ან **„ODF“** ნიშნავს პასიური ქსელის ელემენტს, რომელშიც ბოლოვდება ოპტიკური კაბელები შემდგომი გადაერთების მიზნით.

**„ოპტიკური Drop წერტილი“** ან **„ოპტიკური განაწილების წერტილი“** ან **„ODP“** ნიშნავს MDU-ში ან სხვა საცხოვრებელ ან კომერციულ ფართში არსებულ წერტილს, სადაც ბოლო მილის ბოჭკოვანი კაბელი უერთდება შენობის შიდა ინფრასტრუქტურას.

**„შეკვეთა“** ნიშნავს „დაშვების მსურველის“ მიერ მხარეთა მიერ შეთანხმებული ფორმით მიცემულ შეკვეთას.

**„შეკვეთის ფორმა“** ნიშნავს მხარეთა მიერ შეთანხმებულ ფორმას.

**„შეკვეთის გაუქმების ფორმა“** - „მხარეთა“ მიერ შეთანხმებული შეკვეთის გაუქმების ფორმა.

**„OSI“ ან „ღია სისტემების ურთიერთქმედების**“ მოდელი არის სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ISO) მიერ შემუშავებული სანიმუშო მოდელი, რომელიც სისტემებს შორის კომუნიკაციებს ყოფს შვიდ სხვადასხვა დონედ აბსტრაქციის დონედ:

a) ფიზიკური დონე (1-ლი დონე), გულისხმობს სატრანსპორტო საშუალებაზე დაუმუშავებელი სიგნალების (bit) ნაკადების გადაცემას;

b) მონაცემთა გადაცემის არხის დონე (მე-2 დონე), რომლითაც იქმნება კვანზიდან-კვანძამდე მონაცემთა გადაცემის არხი ორ პირდაპირ მიერთებულ კვანძს შორის Ethernet და PPP პროტოკოლები ამ დონეზე ფუნქციონირებს;

c) ქსელის დონე (მე-3 დონე) ითვალისწინებს მონაცემთა პაკეტების მარშრუტირებას რამდენიმე კვანძის მქონე ქსელში, ქსელის ელემენტის მისამართის საფუძველზე;

d) სატრანსპორტო დონე (მე-4 დონე) იყენებს სხვადასხვა პროტოკოლსა და სტანდარტს ქსელზე გადაზიდული სხვადასხვა კლასის ტრაფიკზე შეცდომების მართვის ფუნქციების მართვისთვის და შესრულებისთვის;

**დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი**

e) სეანსის დონე (მე-5 დონე) მართავს ქსელთან შეერთების დამყარებას, შენარჩუნებასა და გათიშვას, რასაც ერთობლივად „სეანსი“ ეწოდება;

f) საპრეზენტაციო დონე (მე-6 დონე) მართავს პროტოკოლის გარდაქმნას, მონაცემთა დაშიფვრას და განშიფვრას, შეკუმშვას და განკუმშვას, და მონაცემთა დამუშავების სხვა ფუნქციებს იმ ფორმის მიხედვით, რომლებიც მოითხოვება მონაცემთა ნაკადის „გამოყენებითი დონის მიერ წაკითხვისათვის; და

g) გამოყენებითი დონე (მე-7 დონე) არის ის დონე, რომელთანაც „ბოლო მომხმარებელი“ პირდაპირ მუშაობს იმ აპლიკაციების გამოყენებისას, რომლებიც ქსელზეა ჩართული.

აბსტრაქციის ეს შვიდი დონე აღწერს ქსელურ საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით სიგნალების (bit) გადაცემის ფიზიკური იმპლემენტაციიდან განაწილებული აპლიკაციის მონაცემების უმაღლეს დონეზე.

**„პაკეტების დანაკარგი“** - პარამეტრი, რომელიც გამოსახავს დაკარგული პაკეტების პროცენტულ პროპორციას გაგზავნილი პაკეტების მთლიან რაოდენობაში.

**„პასიური ოპტიკური ქსელი“** ან **„PON“** არის ოპტიკურ-ბოჭკოვანი დაშვების ქსელის ტექნოლოგია, რომელიც ბოლო მილზე იყენებს პასიურ ოპტიკურ ქსელს.

**„პერსონალური ინფორმაცია“** ნიშნავს ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია ფიზიკური ან იურიდიული პირის ვინაობასთან, ფინანსურ მდგომარეობასთან ან ისტორიასთან, ან სხვა პერსონალურ მონაცემებთან, რომლებიც გადაცემულია ან მიღებულია „ოპერატორის“ მიერ მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით.

**„გეგმიური ტექნიკური სამუშაო“** ნიშნავს ერთი „მხარის“ მიერ განხორციელებულ ტექნიკურ მომსახურებას, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებებს ან ქსელის მართვის სხვა ზომებს და რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს მეორე „მხარის“ „ქსელის“ დროებითი შეფერხება, მაგრამ რომლებიც არ წარმოადგენს „გეგმიური განახლებების პროგრამის“ შემადგენელ ნაწილს ან „ქსელის ცვლილებას.“

**„გეგმიური განახლებების პროგრამა“** ნიშნავს „ქსელის“ იმ მოდიფიკაციების პროგრამას, რომელთა გამოც მეორე „მხარეს“ შეიძლება მოუწიოს საკუთარი ქსელის მოდიფიცირება იმისათვის, რომ გაგრძელდეს „მომსახურებ(ებ)ის შესრულება და რომლებზეც შეტყობინება მეორე „მხარეს“ მიეწოდება წინასწარ --- დღით ადრე.

**„შეერთების წერტილი“** ან **„PoP“** ნიშნავს „ქსელის კვანძებს,“ სადაც განთავსებულია ქსელის ელემენტების აგრეგირების და საბოლოო

## დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

მომხმარებლების დაერთების მოწყობილობები, კვანძის უწყვეტი კვებით უზრუნველყოფა და კლიმატის რეგულირების სისტემები.

**„წერტილიდან წერტილამდე“** ან **„P2P“** შეერთებები აღწერს ფიზიკური ქსელის ტიპოლოგიას, რომელშიც არის ერთი სპეციალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვი, რომელიც აკავშირებს ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის ორ წერტილს.

**„წერტილიდან რამდენიმე წერტილამდე“** ან **„P2MP“** ნიშნავს ქსელის ტიპოლოგიას, რომელშიც ქსელის ერთი კვანძი უკავშირდება ქსელის რამდენიმე ბოლო წერტილს. PON ქსელში, P2MP კავშირი ნიშნავს, რომ რამდენიმე „ბოლო მომხმარებელი“ ODF-თან დაკავშირებულია ერთი, საზიარო ოპტიკურ-ბოჭკოვანი ძარღვით.

**„პრეისკურანტი“** ნიშნავს „მომსახურებებით“ სარგებლობისთვის და „ტექნიკურ საშუალებებზე“ დაშვებისთვის ფასების იმ ჩამონათვალს, რომელიც წარმოდგენილია „დანართში – მომსახურების საფასური“

**„QoS“** ნიშნავს მომსახურების ხარისხს;

**„QoS კლასი“** ან **„მომსახურების ხარისხის კლასი“** ნიშნავს მომსახურების ხარისხის იმ ზემოთ განხილულ პარამეტრებს, როგორიცაა „დაყოვნება,“ „ჯიტერი“ და „პაკეტების დანაკარგი“ რომლებიც უკავშირდება მე-2 დონის კავშირს.

**„QoS სტანდარტები“** ნიშნავს მომსახურების ხარისხის სტანდარტებს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ განსაზღვრულ მომსახურებებთან მიმართებით.

**„კვარტალი“** ან **„კვარტალური“** ნიშნავს სამი „კალენდარული თვის“ პერიოდს, რომელიც იწყება თითოეული წლის იანვრის, აპრილის, ივლისისა და ოქტომბრის პირველ „კალენდარულ დღეს.“

**„მხარე“** ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ მხარეს.

**„ოფერტა“** ნიშნავს „დაშვების მიმწოდებლის“ მიერ კომისიის 2024 წლის 8 აგვისტოს N გ-24-9/361 გადაწყვეტილების (მასში პერიოდულად შესული ცვლილებების გათვალისწინებით).

**„მიმღები მხარე“** ნიშნავს მხარეს, რომელიც წინამდებარე „ხელშეკრულების“ თანახმად იღებს მეორე „მხარის“ „კონფიდენციალურ ინფორმაციას.“

**„რეგულირებული ტექნიკური საშუალებები ან/და მომსახურებები“** ნიშნავს:

a) ქსელის ტექნიკური საშუალებებს ან/და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც დაკავშირებულია „მაგთიკომის“ მიერ „ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების“ მიწოდებასთან;

b) „მაგთიკომის“ მიერ „ფიქსირებული ფართოზოლოვანი ინტერნეტ მომსახურებების“ მიწოდებასთან დაკავშირებულ ქსელის ტექნიკური

**დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი**

საშუალებებს ან/და სხვა ტექნიკურ საშუალებებს, რომლებიც ხელს უწყობს ქსელის მომსახურებების ან აპლიკაციების მომსახურებების, მათ შორის, ქონთენთის აპლიკაციების მომსახურებების მიწოდებას.

**„მარეგულირებელი მოვლენა“** ნიშნავს:

a) „დაშვების შესახებ კომისიის გადაწყვეტილების“ გამოცხადებას, მასში ცვლილების ან დამატების შეტანას ან მის გაუქმებას; ან

b) „კომისიის“ მიერ „მაგთიკომისთვის“ დირექტივის მიცემას „მაგთიკომის“ „ოფერტასთან“ დაკავშირებით.

**„განხილვის შესახებ შეტყობინება“** ნიშნავს ერთი „მხარის“ მიერ მეორე „მხარისთვის“ „ხელშეკრულების“ პირობის ცვლილებასთან დაკავშირებით.

**„უზრუნველყოფის თანხა“** ნიშნავს „ოფერტის“ / „ხელშეკრულების“ შესაბამისად, „დაშვების მსურველის“ მიერ წარდგენილი საბანკო გარანტია ან/და ჩარიცხულ დეპოზიტს.

**„მომსახურების მიმწოდებელი“** ნიშნავს „ოპერატორს,“ რომელსაც „ბოლო მომხმარებელთან“ ან „მომხმარებელთან“ აქვს პირდაპირი, საცალო მომხმარებლის ურთიერთობა.

**„მომსახურებები“** ნიშნავს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მომსახურებას.

**„მომსახურების შეკვეთის წესები“** ნიშნავს იმ წესებს, რომლებითაც რეგულირდება „რეგულირებულ ობიექტებზე ან/და მომსახურებებზე შეკვეთის“ წარდგენა და რომლებიც ასახულია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართში - „შეკვეთის მიცემის, მომზადებისა და შეწყვეტის პროცესები“.

**„მომსახურების მიწოდება“** ნიშნავს აქცეპტირებულ „მომსახურების მიწოდების მოთხოვნაში“ განსაზღვრული „მომსახურებების“ განხორციელებას.

**„მომსახურების მიწოდების მოთხოვნა“** ნიშნავს „მაგთიკომის“ მიერ „ხელშეკრულების“ თანახმად შეთავაზებულ „მომსახურებაზე/მომსახურებებზე შეკვეთას“, რომელიც წარდგენილია დანართში“ („შეკვეთის, მიწოდებისა და შეწყვეტის პროცესები“) განსაზღვრული ფორმის, შინაარსისა და სხვა მოთხოვნების დაცვით.

**„მომსახურების გეგმა-გრაფიკები“** ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ თანახმად მიწოდებული „მომსახურებების“ სპეციფიკაციას დანართში - „VULA და Bitstream საბითუმო მომსახურების პირობები“.

**„მომსახურების შეწყვეტა“** ნიშნავს „მაგთიკომის“ მიერ კანონიერი „მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნის“ შესრულებას იმ წესების შესაბამისად, რომლებიც გაწერილია „ხელშეკრულებაში“ ან დანართში“ („შეკვეთის, მიწოდებისა და შეწყვეტის პროცესები“).

## დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

**„მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნა“** ნიშნავს მითითებული „ბოლო მომხმარებლისთვის“ მომსახურების შეწყვეტის მოთხოვნას, რომელიც „დაშვების მიმწოდებლის“ მიერ წარდგენილია იმ წესების შესაბამისად, რომლებიც გაწერილია დანართში“ („შეკვეთის, მიწოდებისა და შეწყვეტის პროცესები“)

**„სტანდარტული დაშვების ხელშეკრულება“** ნიშნავს „მაგთიკომსა“ და „დაშვების მსურველს“ შორის გაფორმებულ დაშვების ხელშეკრულებას, რომელიც ყველა არსებითი თვალსაზრისით შეესაბამება „ხელშეკრულების“ მოდელს, რომელიც წარმოადგენს „ოფერტის“ შემადგენელ ნაწილს, გარდა იმისა, რაც აუცილებელია „დაშვების მსურველისა“ და მოთხოვნილი „მომსახურების“ ან „ტექნიკური საშუალებების“ შესახებ სპეციფიკური ინფორმაციის შესატანად.

**„შემჩერებელი მხარე“** ნიშნავს „მხარეს,“ რომელიც „ხელშეკრულების“ შესაბამისად სრულად ან ნაწილობრივ აჩერებს „ხელშეკრულებას“ ან მის თანახმად მიწოდებულ მომსახურებას“/„ტექნიკურ საშუალებებს.“

**„შეჩერების შესახებ შეტყობინება“** ნიშნავს „შემჩერებელი მხარის“ მიერ „ხელშეკრულების“ შესაბამისად მიწოდებულ შეტყობინებას „ხელშეკრულების“ ან „ხელშეკრულების“ თანახმად მიწოდებული მომსახურების“/„ტექნიკური საშუალებების“ შეჩერების შესახებ.

**„სატელეკომუნიკაციო მომსახურება“** ნიშნავს იმ “მომსახურებას,“ რომლის მიწოდების უფლებაც „მაგთიკომს“ აქვს „კომუნიკაციების კომისიის“ ნებართვით.

**„ტექნიკური წარმომადგენელი“** არის „მხარის“ წარმომადგენელი, რომელიც დანიშნულია ტექნიკურ საკითხების მოსაგვარებლად.

**„ტექნიკური სპეციფიკაციები“** ნიშნავს „ოპერატორებს“ შორის წერილობით შეთანხმებულ იმ ტექნიკურ პარამეტრებს, სპეციფიკაციებსა და პროცედურებს, რომლებიც გამოიყენება „ოპერატორის ქსელის ურთიერთჩართვისას“ და „დაშვების მომსახურების“ მიწოდებისას.

„**ვადა**“ ნიშნავს ნებისმიერ ურთიერთშეთანხმებულ პერიოდს.

**„მესამე მხარე“** ან **„მესამე პირი“** ნიშნავს წინამდებარე „ხელშეკრულების“ „მხარეთა“ გარდა ნებისმიერ სხვა მხარეს.

**„ტრაფიკი“** ნიშნავს იმ სატელეკომუნიკაციო სიგნალებს, რომლებიც გადაიცემა „სატელეკომუნიკაციო ქსელით“ ან „ქსელებით,“ მათ შორის და არა მხოლოდ, IP პაკეტებს.

**„VLAN“** არის „ვირტუალური ადგილობრივი ქსელი“, რომელიც აკავშირებს სხვადასხვა მოწყობილობებს და ქსელის კვანძებს ერთ ლოგიკურ ქსელში OSI მოდელის მეორე დონეზე.

**დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი**

**„VoD“** ან **„ვიდეო მოთხოვნით“** არის მედია გამანაწილებელი სისტემა, რომელიც მომხმარებლებს აძლევს შესაძლებლობას შევიდნენ და უყურონ ციფრულ ვიდეო ქონთენთს, მაგ., ვიდეოებს, სატელევიზიო შოუებს, და ფილმებს მოთხოვნით.

**„VoIP“** ან **„ხმა ინტერნეტის პროტოკოლით“** ნიშნავს ხმოვან კავშირებს, რომლებითაც ხმოვანი სიგნალები იგზავნება IP მონაცემთა პაკეტების სახით.

**„VULA“** ან **„ადგილობრივი დაშვების ვირტუალური გამოყოფა“** ნიშნავს აქტიური დაშვების ხაზის მიწოდებას ინტერნეტის მიმწოდებლის (OLT) მოწყობილობაზე სააბონენტო საკაბელო არხის დასრულებით ისე, რომ დაშვების მაძიებელს შეუძლია პირდაპირ დაუკავშირდეს ამ მოწყობილობას ადგილობრივი გაცვლის წერტილში.

**„სამუშაო საათები“** ნიშნავს „სამუშაო დღის“ დროის პერიოდს 10:00-დან 17:00-მდე, ადგილობრივი საქართველოს დროით.

# 3 განმარტების წესები

3.1 „ხელშეკრულების ძირითადი ტექსტის“ უპირატესობა

(a) „დანართის“ დებულებებსა და „ხელშეკრულების ძირითად ტექსტს“ შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება „დანართის“ დებულებას.

(b) ასევე, ორი ან მეტი „დანართის“ დებულებებს შორის რაიმე წინააღმდეგობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება იმ „დანართის“ დებულებას, რომელიც არეგულირებს კონკრეტულ სპეციფიკურ საკითხს.

(c) ამ დანართში განმარტებულია წინამდებარე „ხელშეკრულებაში“ გამოყენებული ტერმინები და დაკონკრეტებულია განმარტების ის წესები, რომლებიც გამოიყენება ამავე „ხელშეკრულების“ ენის მიმართ.

3.2 „მაგთიკომის“ უფლებების შეზღუდვის გარეშე, „ხელშეკრულებასთან“ მიმართებით მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებში განსაზღვრულ ტერმინებს შორის წინააღმდეგობის ან ბუნდოვანების შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი რიგითობა:

(a) საქართველოს კანონი „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს კანონმდებლობა;

(b) სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებაზე „კომისიის“ მიერ „მაგთიკომზე“ გაცემული ნებართვების პირობები.

3.3 „კანონის“ თანახმად გაცემული შესაბამისი ბრძანებების, გადაწყვეტილებებისა თუ რეგულაციების (მათი არსებობისას), სატელეკომუნიკაციო

## დანათი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი

მომსახურებების მიწოდებაზე „მაგთიკომზე“ გაცემული ნებართვებისა და „მაგთიკომსა“ და „დაშვების მსურველს“ შორის „ოფერტის“ საფუძველზე წარმოებული მოლაპარაკებების მიხედვით გაფორმებული „დაშვების ხელშეკრულების“ (მათ შორის, მისი დანართების) დებულებებს შორის რაიმე წინააღმდეგობის ან ბუნდოვანების შემთხვევაში, გამოიყენება შემდეგი რიგითობა:

(a) „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონი და ელექტრონული კომუნიკაციების სფეროს კანონმდებლობა;

(b) „კანონის“ თანახმად გაცემული რეგულაციები, ბრძანებები ან გადაწყვეტილებები;

(c) სხვა კანონები;

(d) სატელეკომუნიკაციო მომსახურებების მიწოდებაზე „მაგთიკომზე“ გაცემული ნებართვების პირობები;

(e) „მაგთიკომის“ „დაშვების მოწვევის ოფერტის“ საფუძველზე წარმოებული მოლაპარაკებების თანახმად გაფორმებული ნებისმიერი „დაშვების ხელშეკრულება“;

(f) „მაგთიკომის“ „ოფერტის“ მოქმედი ვერსია.

3.4 „ხელშეკრულებაში,“ იმ შემთხვევების გარდა, სადაც ვლინდება საპირისპირო განზრახვა:

(a) მხოლობითი რიცხვი მოიცავს მრავლობითს და პირიქით;

(b) დოკუმენტი მოიცავს ამავე დოკუმენტის ყველა ცვლილებასა და დამატებას, ან მის ჩამნაცვლებელ დოკუმენტებს ან დამატებებს;

(c) კანონმდებლობაზე, ბრძანებულებაზე, რეგულაციებზე, კოდექსზე ან სხვა კანონზე და მის შესაბამისად გამოცემულ ინსტრუმენტებზე მითითება მოიცავს ნებისმიერ კანონს, ბრძანებულებას, რეგულაციას, კოდექსსა და სხვა კანონს, რომლითაც ხდება რომელიმე მათგანის პერიოდულად კონსოლიდირება, ცვლილება, კვლავ ამოქმედება ან ჩანაცვლება მათთან დაკავშირებით;

(d) სიტყვა „პირი“ მოიცავს ნებისმიერ პირს, მათ შორის კომპანიას, დაურეგისტრირებელ ასოციაციას ან ორგანოს;

(e) მითითება „პირზე“ მოიცავს ამ პირის სამართალმემკვიდრეებს, შემცვლელებს და უფლებამონაცვლეებს;

(f) მითითებები მოქმედ კანონმდებლობაზე მოიცავს საქართველოს კანონმდებლობას, მასში პერიოდულად შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით;

**დანართი - ტერმინთა განმარტება და განმატების წესი**

(g) იმ შემთხვევაში, თუ ის დღე, რომელზეც თანხის გადახდის ვადა მოდის, არ არის „სამუშაო დღე,“ გადახდის დღედ განიხილება მომდევნო „სამუშაო დღე“.

(h) სათაურები გამოყენებულია ტექსტის გამოყენების აღქმის მიზნით და მათ არ აქვს გავლენა „ხელშეკრულების“ განმარტებაზე; და

(i) განმარტების ინტერპრეტაციის წესები გამოყენებული არ იქნება იმ „ოპერატორის“ საწინააღმდეგოდ ან/და საზიანოდ, რომელიც აკონტროლებს წინამდებარე „ხელშეკრულების“ მომზადებას ან/და პასუხისმგებელია წინამდებარე „ხელშეკრულების“ მომზადებაზე.